იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თეთრათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერელს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი. დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. სახღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თეთრათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამთვიანიო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 2 საათ. დირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ხუთშაბათი, 11 სექტემბ.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 150 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 წ. № 150

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით . . .	4 მანათი.
ერთი თვით	3 აბაზი.
და ცალკე ნომერის . . .	1 შაური.

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მან. ნახევარი წლით—8 მან., თეთრათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მანეთად და თეთრათ 3 აბაზათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით და გაურკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები

მომავალი ოთხი წლისათვის (1914—1918 წ.წ.) დანიშნულია ამა 1914 წ. 14 სექტემბრის დილის 8½ საათზე, ქალაქის თეატრში.

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ძ. ჟუთაისში.

პროფესორ კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. ბრიგანტიის წიგნის მაღაზიაში, სახალხო შეკრებებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს დაუთმობათ სპეციალურ პირობებში წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკნებელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, რომელსაც მიღებული აქვს საჭიროდი პირდაპირ რუსეთის და სხვადასხვა ქარხნებისაგან და ამიტომ უოველგვარ სასწავლო და საკნებელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება

ძვირფასი

ამჟამ გახსნილია რეგულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რეგულები იქონიოს უკანებლივ და გაუიაფოს ზომიერ ფასით.

დაიბეჭდა და იყიდება

ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში.

1. დასურათებული არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთაისის საარხ. შკოლის მასწავლებელთა ჯგუფის მიერ. ფასი 7 შაური.
2. „ცხოვრება და მეცნიერება“. სალიტერატურო და სამეცნიერო კრებული, შედგ. ქართ. სტუდენტთა და ახალგაზდა მეცნიერთა მიერ ფ. 1 მ.
3. „ეროვნული შემოქმედება“. სასალხო ლექციები ალ. ჯ—ისა ფ. 2 აბაზი

იბეჭდება და მალე გამოვა

ახალი რუსული პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, მრავალათ დასურათებული, შედგ. ქართ. საახ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ და გ. იოსელიანის მიერ. ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხვის ტყაოსანი“.

ქუთაისში.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია

აუწყებს კატივცემულ საზოგადოებას, რომ მოვამზადე ფლისათვის მას დამზადებული აქვს დიდძალი სახელმძღვანელო ქუთაისის გუმნაზიის საშვალო და დასაწყისის სასწავლებელში სახმარი, აგრეთვე საკითხავი წიგნები, რუსეთისა და კავკასიაში გამოცემული. აქვე იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო ნივთები, რვეულები, საუკეთესო ღირსების ქაღალდისა (ო-დ პასკევიჩის ფაბრიკისა), კარანდაშები, კალმები, კალმის ტარები, სხვადასხვა ღირსების ფოსტისა და საწერი ქაღალდი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთები.

ბითუშად შეიძლება ფასი დაეთმობა მოხარეებთან.

განცხადება.

ამა ათას ცხრაას თოთხმეტ წლის ენკენისთვედან გაიხსნება ქალთა

სახელოსნო

ქრა-კერვის სამკლასიანი სასწავლებელი,

რომელსაც ქუთაისის საზოგადოებამ უკვე იცის.

მსურველთაგან თხოვნების მიღება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე სკოლის კამეის **ოლღა ლუკას ასულის ქორქაშვილის** სახელზე. სწავლის ფასი: 1 კლასში—20; მე-2 კლასში—25 და მესამე კლასში 30 მან.

მისამართი: თოდუასის ქუჩა, ნაჟარაძის სახლი.

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის სამთო ტექნიკური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მისადები ეგზამენები პირველ კლასში მოხდება 15 სექტემბერს, მიიღებენ ისეთებს, რომელთაც სამოქალაქო სასწავლებელი აქვთ გათავებული, ან სხვა მისი თანასწორი პროგრამის შკოლა. გამოცდა იქნება რუსულ ენაში, გეომეტრიასა და არითმეტიკაში. თხოვნები და საბუთები მიიღება სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე 14 სექტემბრამდე. 5—4

ექიმი ივ. ბოკერიას საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დახმარებას აწვდომენ დებულობენ ყოველ დროს.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში შეფი პირველი

საბუჰგალტრო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა

(დარსებული 1895 წ.)

„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორიგე სქემისთვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას. ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსლისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომიას; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭდვას. მასწავლებლები—თვითანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ხელისტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წეს-ი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწყდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მოზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიმართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744.

ექიმი გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი ბავშვებისა და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 საათამდი თფილისის ქუჩაზე, გზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ ოფიციის პირდაპირ).

ექიმი გრიგოლ ალშიბაია უკანვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

ელექტროენის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის შინაგანი ნერვების და ვენერიული ავათმყოფებისათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი მ. დ. ბეთანოვი იღებს **კასობრივი უძლურებით ავათმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. ფიფიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ექიმი ს. ი. ბეგოვი იღებს ავათმყოფებს დილის 8—12 ს საღამოს 5—8 ს. კათოლიკების ქუჩა, საკუთარი სახლი ტელეფონი № 121 თ.

ძ. ჟუთაისში

ექიმი ს. ა. ცეიტლინი. კბილის და პირის ავათმყოფობა.

ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და 4—7 საათ. საღ. ბოლახვნის ქუჩა, სახაზინო პალატის გვერდით. ტელეფონი 153.

ექიმი ი. ჩარექავი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

დოქტორი მედიცინისა, პრივატდოცენტი ვ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდე.

გიმპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ბეგია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყველასს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ღარიბებს უფასოთ

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ხმოსნების არჩევნების გარშემო.

საკვირველი ამბავი ხდება. ინტელიგენციამ ხელი აიღო ინიციატივაზე და მოედანი არა ინტელიგენტებს დარჩათ.

საარჩევნო სიებში ინტელიგენცია თითქმის არა ჩანს.

და, თუ მარტო ისინი აირჩიეს, ვინც სიაში არიან, ახალი საბჭო, ასე გაშინჯეთ, კომისიების შედგენასაც კი ვერ მოახერხებს.

ასე ყოფილა და იქნება: საზოგადო სარბიელზე ის იმარჯვებს, ვისაც მეტი ინიციატივა მოეპოვება.

ინტელიგენცია გადადგა. და, რა საკვირველია, რომ მისი ადგილი არა ინტელიგენციამ დაიჭირა!

ნება გვაქვს ორსაც მხარეს მივმართოთ საყვედურით. რატომ არ ასრულებს ინტელიგენცია თავის მოქალაქობრივ მოვალეობას? არ გვცალიაო, რომ ბძანებენ, ერთი გვითხრან, რა ცალი კიდიათ?! მაგრამ არა! მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ, თითოეული თავის პირადს, ცოტო ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე საზოგადოს. აქ არის საოვე მოქალაქობრივი უგულობისა და გულგრილობისა.

მეორე მხრით არც არა ინტელიგენტებს აქვთ ზნეობრივი უფლება გარეკონ ინტელიგენცია საზოგადო სარბიელიდან. რა უნდა გააკეთონ საბჭოში? რისთვის იდგმენ კისერზე ისეთს მძიმე უღელს, რომლის ზიდვაც გაუძნელდებათ? რისთვის კისრულობენ იმისთანა მოვალეობას, რომლის ასრულებასაც ვერ შესძლებენ? და რატომ არ იცან, რომ ყოველ საქმეში ყოვლის უწინარესად შესაფერი მომზადებაა საჭირო?

და ჩვენი ვალია ავუხილოთ თვალი ამჩაჩვლებსა და გავახსენოთ მათი მოქალაქობრივი მოვალეობა. ნუ დაუჯერებენ ჩამძახებლებსა, დაეკითხონ მხოლოდ თავის სინდისსა და აირჩიონ ისეთნი, რომელნიც უფრო ღირსეულებად მიაჩნიათ.

ნუ უგდებენ ყურს რამდენიმე კაცის მიერ შეხანხლულ ს-ებს.

საერთაშორისო ომი.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲚᲐᲛᲘᲗ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲘᲔᲠᲘᲮᲝ

ტოკიო. 8 ეკენისთვე. ღამით იაპონელებმა პირველათ შეუტიეს ლიუშუტაიზე მყოფს გერმანელების ჯარს. იერიში იაპონელების გამარჯვებით დასრულდა. გერმანელებმა იაპონელებს საქმელი სურსათი დაუტოვეს.

ᲫᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲐᲕᲔᲓᲔᲑᲐ.

ურმია. 8 ეკენისთვე. სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვარზე ქურთების მოქმედებას გამომშვიდა ხასიათი აქვს. მერე-გეთერში ქურთებმა ჩვენს საყარაულოს თოფი დაუშინეს. სოფელ დოსტოლანში რუს ქვეშევრდომის, კალმიკოვის ქონება გაძარცვეს. სოფელ კუნასთან ჩვენს ჯარსა და ქურთებს შორის შეტაკება მოხდა. მათი შაიკის მეთაური თამირანჯვარო ოსმალეთს გაიქცა. ქურთებს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენ დაგვიჭრეს მხოლოდ ცხრა კაცი.

ᲛᲘᲬᲘᲜᲫᲘᲠᲐ.

პეტროგრადი. ღამის პირველ საათსა 15 წუთზე მიწისძვრა იყო. შეშინებული მცხოვრებლები ქუჩებში გამოცვივდენ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ.

პარიზი. 8 ეკენისთვე. საღამოს თერთმეტი საათი. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ დღევანდელ ბრძოლის დროს არგონისა და რეიმის სიმაღლეებს შუა გამარჯვება ჩვენსკენ იყო.

ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ.

ჩელიაბინსკი. 8 ეკენისთვე. გადასახლებულთა რიცხვი მიმდინარე წლის დასწყისში 183,970 ულრის. ხოდაკება—75,466, უკან დაბრუნებულ გადასახლებულთა რიცხვი ულრის 20,270, ხოდაკების—48,962.

ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ.

სოფია. 8 ეკენისთვე. ბულგარეთის სააგენტო იუწყება, რომ პარლამენტის ოპოზიციამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელზეც ხელს აწერდენ ოპოზიციის ყველა წევრი, გარდა სოციალისტებისა. მანიფესტში გამოცხადებულია ნეიტრალიტეტის დაცვის საჭიროება და დაარსება ისეთი ეროვნული კაბინეტისა, სადაც შევლენ ყველა პარტიის წარმომადგენლები, როგორც გარანტია ნეიტრალიტეტის დაცვისა. ყოველივე ეს საჭიროა იმ მიზნით, რომ მხარე მთლიანათ შეინარჩუნოს თავისი დღევანდელი სამფლობელო და უზრუნველყოს მაქსიმუმი მოგება, რომელიც შეიძლია მოუტანოს ბულგარეთს დღევანდელმა კრიზისმა.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ.

პარიზი. 8 ეკენისთვე. ოფიციალური ცნობა. უაზის მარჯვენა ნაპირზე საფრანგეთის ჯარის მარცხენა ფრთამ ლამნეის სიმაღლემდი წინ წაიწია. ნუასონის აღმოსავლეთით გერმანელებმა აქტიური წინააღმდეგობა გაგვიწიეს, უაზის აღმოსავლეთისა და მდ. ენის ჩრდილოეთით, სადაც ხელჩართული ბრძოლა მოხდა, მტერმა ყველგან დიდი ზარალით უკან დაიხია. რეიმის რაიონში მტერმა ფრონგების ფრონტს სხვილი კალიბრის იარაღით სროლა დაუწყო. მტრის ქვეითა ჯარს იერიში არ მოუტანია. ლოტარინგიაში ახალი არა მომხდარა რა. გერმანელები ვოგეზში დაღმის მახლობლათა და შოტასალენის სამხრეთით მაგრდებიან.

ᲙᲐᲚᲘᲪᲔᲓᲔᲡ ᲘᲛᲬᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲫᲕᲔᲓᲘᲚᲘ.

ურმია. 8 ეკენისთვე. ქურთებთან ბრძოლის დროს დაჭრილი კაპიტანი იმნაძე გადაიცვალა. დაჭრილია ერთი პოდპორუჩიკი გერშოვი და 8 ჯარისკაცი.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ.

პეტროგრადი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება სენატისადმი. ბრძანების ძალით, სენატს ევალება საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით დღევანდელ ომიანობის დროს, როგორც დროებითი ზომები, სპირულეში მოიყვანოს საზღვაო ომის წესები, რომელიც შემუშავებულია ლონდონის საზღვაო კონფერენციის მიერ 1908-სა და 1909 წლებში.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

პეტროგრადის სააგენტოს სხვადასხვა გუბერნიიდან მოული რიგი ცნობები მოდის ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარებასთან ორგანიზაციების მოწყობის შესახებ. მაგალითად, მოსკოვში აყოთხეს მოძრავი მატარებელი, რომელიც მოაწყო სახელმწიფო რკინის გზამ დედოფლის ალექსანდრა თეოდორის ასულის სახელობის კომიტეტისათვის; სარატოვში მოაწყვეს 27 ლაზარეთი 3372 საწოლით; ადგილს ურთიერთ დამზღვევის საზოგადოებამ 43,000 მანეთი გადასცა დაჭრილთა საწოლებისათვის მოსაწყობათა და საზოგადოების სახელით ომში გაწყვეულთა ოჯახების დასახმარებლათ. პოლტავის სამაზრო ერობამ გადასწყვიტა გახსნას მაზრაში პრიუტები, სადაც მოათავსებენ სუბუქ დაჭრილებს. ამის მოსაწყობათ ერობამ გადასცა 12,000 მან. სტაროობელის ერობამ 35,000 მანეთი გადასცა ლაზარეთის მოსაწყობათ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ.

სოფია. 8 ეკენისთვე. ბულგარეთის საააგენტო იუწყება, რომ რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც ბულგარეთის მთავრობა პასუხისგებაში აძლევდეს ოპოზიციის წევრებს, სიმართლეს მოკლებულიაო.

ᲮᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ.

კოპენჰაგენი. 8 ეკენისთვე. რეიტერის საააგენტოს ცნობას ვაშინგტონიდან—რომ გერმანიის ელჩმა მიმართა შტატებს ეშუამდგომლა ზავის პირობებისა და მოლაპარაკების შესახებ, უარყოფენ. გაზეთი ამბობს, რომ გერმანიის სრულებით არ აქვს განზრახვა რაიმე მოლაპარაკება გამართოს ზავის შესახებ. პირიქით იგი ცდილობს ომი თავის ლოღიკურ დასკვნამდი მიიყვანოსო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ.

პარიზი. 8 ეკენისთვე. აღწერილობამ დემოსჩინა, რომ ამ ჟამათ პარიზის მცხოვრებთა რაოდენობა 1.807,044-ია, ე. ი. $^2/_3$ მეტი ჩვეულებრივ დროს მცხოვრებთა რაოდენობაზე. ქალთა რიცხვი ორჯერ მეტი მამაკაცისაზე.

ᲙᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ.

ურმია. 9 ეკენისთ. ოსმალეთის ქურთები თავს დაესხნენ სპარსეთის სოფელს მოსულდანს ბარადოსში. სოფელი გადაცვეს. დაიკვეს სოფ. გენჩალიში და გამოყარეს მცხოვრებლები.

ᲛᲝᲬᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲒᲘᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲗᲐᲜ.

პეტროგრადი. დედოფალს, მარიამ თეოდორის ასულს, სასახლეში წითელი ჯვრის ფინლანდიის რაზმის 18 მოწყალების დაი წარუდგა.

რუმინიის ელჩი დიმიტრიდი დაბრუნდა.

ᲖᲐᲠᲐᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲔᲜᲐ.

ვენეციანი. 9 ეკენისთვე. დილით გერმანელებმა ქ. გორიჯის 12-ჯერ უშედეგოთ ზარბაზნები ესროლეს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ.

ჩიფუ. 9 ეკენისთვე. ცინდაოს ჩრდილოეთით იაპონელებმა უშინაარმდეგოთ ჯარი გადასხეს და დაიპატაჟეს მძიმე საველე ზარბაზნები. 5 ეკენისთვეს ცილიუს ჰამხრეთით მომხდარ სროლის დროს ია პონიის პოლკოვნიკი და გერმანელების ლეიტენანტი მოკლულ იქნენ.

ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ.

პარიზი. 9 ეკენისთვე. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ გერმანელებმა უაზისა და ვეენის გასწვრივ ყველა ფრონტზე აქტიური წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ ამ წინააღმდეგობას არსებითი შედეგები არ მოყოლიან. უაზის მარჯვენა ნაპირზე მტერზე იერიში მიეტანეთ და იძულებული გავხადეთ უკან დაეწია. ვეენში ჩვენს მაღლობებზე მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა მეტი ძალა იერიში მიიტანეს, მაგრამ ვერას გახდენ. 7 ეკენისთვეს ფრანგებმა ბეური ტყეე გერმანელი ხელში ჩაიგდეს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲣᲮᲕᲐ.

ლონდონი. 9 ეკენისთვე. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ გერმანელების წუალქვეშ მავალმა გემებმა ინგლისის კრეისერები: „აბუკირი“, „ხა. გი“ და „კრესსი“ დაღუპესო.

ᲧᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲒᲐᲓᲮᲣᲚᲔᲑᲐ.

პეტროგრადი. 9 ეკენისთვე. წითელი ჯვრის საზოგადოებამ უკვე დაასრულა სამკურნალო დაწესებულების მოწყობა და ბრძოლის ველზე გაგზავნა. შეიდა ახალი დაწესებულების მოწყობას.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ.

პეტროგრადი. 9 ეკენისთვე. ცნობაა, რომ კრაკოვში რამდენიმე დღეა გამეფებული შიში, რის გამოც მცხოვრებლები თავის ქონებას თავს ანებებენ და ქალაქიდან გადიან. 26 აგვისტოდან ქალაქში საალო წესებია გამოცხადებული. კრაკოვში მოაგროვეს ბევრი დაჭრილი და ავათმყოფი, რომელნიც სამკურნალო საშუალებას არიან მოკლებულნი და იხოცებიან. სანიტარული საშუალების უქონლობის გამო,. მკვდრები რამდენიმე დღეა არ დაუმარხავთ.

თ. ე. ტრუბეცკოის წერილი.

გაზეთ „რუსკ. ვედ.“ში ტრუბეცკოის წერილია დაბეჭდილი, რომელიც ამბობს, რომ რუსეთი ყველა ერების განთავისუფლებისათვის იბრძვის.—იგი უპირველესად ერთმანეთს რუსეთსა და გერმანიას როგორც თავისუფლების და დესპოტიზმის მატარებელ ძალებს. რუსეთი ამყარებს ზე ხალხურ იდეას თავისუფლებასა და სამართლიანობას გერმანიას კი კატეგორიისათვის მოაქვს მონობა და უბედურებაო. ამით არის ძლიერი რუსეთი ამტომაც მისკენ არის თანაგრძნობა მთელი ქვეყნის. გერმანიას კი როგორც მილიტარიზმის გამომსახველობა და სხვისი უფლების უარმყოფელობა ხალხმა მთელი ქვეყანა აიმხედრა თავის წინააღმდეგო დასძენს თავადი „ხოლო რომ რუსეთის ძლიერება უფრო დიდი იყოს, ყველა ეროვნებათა შეერთება უფრო მტკიცე და ლრუნი, ჩვენ უნდა საბოლოოთ დავამარცხოთ ის შინაური ნემეცი, რომელიც ჩვენ არსებაში იმალება და რომელიც, თუ დროზე ხმები არ მივიღეთ თავს იჩენს და გამომჟღავნდება.

ეს ბალკანეთის ამბები მაგალითი იქნება ჩვენთვის როგორც ეხლა, ისე ბალკანეთის კუნძულზე განვლილობის დროს იბრძოდენ სლავიანები მაღალ კულტურისა ზეხალხისურ იდეისათვის. რო გორც ეხლა ისე მაშინ ბრძოლა სწარმოებდა ყველას მიერ ერთის წინააღმდეგ ოსმალეთის წინააღმდეგ რომელ-ც ყოველის მხრივ გერმანიის Alter cdo არის თანამედროვე ევროპაში. სწორედ ისე როგორც ახლა მაშინაც დიდი და წმინ და იყო მოკავშირეთა აღფოთოვნება. განთავისუფლებულ ქვეყნებში ხალხი ჯარს ულოცავდა „ქრისტე აღსდგაო“ და მათ ძღვენ მოსილი მსვლელობა მართლაც ერთა აღდგომის მომსწრეებსავით იყო, რომელნიც ოსმალთა ბატონობის ქვეშ გმინავდენ.

რათ მოხდა რომ პირველი ომის შემდეგ ეს უტოპია განქრა და მოკავშირეებმა თვით შეადგინეს ის იდეალური მოწყობა სთვისაც ისინი სისხლს ღვრიდენ? იმიტომ, რომ გამარჯვების შემდეგ ყოველ მათგანში ოსმალომ გაიღვიძა: განმათავისუფლებელნი თვით შეიქმნენ მჩაგვრელებად, და ოსმალთა ბარბაროსობის შემდეგ დაიწყო ბარბაროსობა ბერძნების, ბოლგარელების და სხვ. ისინი აღარაფერი აღარ განსხვავებოდნენ ოსმალთაგან. ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ ნამდვილი ოსმალო აღსდგა და წაიღო ის აღრანოპოლი რომელიც აღები სათვისაც იმოდენი ბოლგართა სისხლი დაიღვარა ასეთი ისტორიული ნემეზიდა ოსმალეთის სლავიანობაზე გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლებელი, როცა თვით სლავიანებში ოსმალეთის იდეალმა გაიმარჯვა და ის კი შეუძლებელი იყო რომ ბალკანეთის ერებს ბოლომდე ეტარებინათ ის ზე ხალხოსნური იდეალი, რომლისთვის ომი დაიწყო და აი ამ ისტორიულ ნემეზიდას უნდა უფრთხილდეთ უფრო მეტათ ვიდრე რაიმე გარეშე საფრთხეს ყველა ერს ჯერ გამარჯვებულისა და მერმე დამარცხებული ბოლგარიის ბედი ეწვევა, რომელშიც ეროვნული თვის განდიდების გრძნობის გვლენით, გაიღვიძებს ოსმალო ან ნემეცი.

ნაციონალიზმის საშინელი თვისებები იმაში გამოიხატება, რომ მას შეუძლია ყოველი ერი გაანადგუროს და ყველას საფრთხეთ გახადოს. მოვიგონოთ, რომ წემცები ყოველთვის ისეთები არ ყოფილან, როგორც ახლა არიან, ოდესაც ისინი გეტე შილერის, კანტის და გეგელის შვილები იყვნენ და ცოტა შემდეგ განა სოფლის მასწავლებელმა არ არგუნა გერმანიას საფრანგეთზე გამარჯვება? და მხოლოდ მაშინ, როდესაც ზეხალხისურ კულტურულ იდეალებს უღალატეს, როცა მასწავლებლის მაგივრათ პრუსიის ფელტებელი მოგვევლინა ლუდის ბოკ კით, გერმანია კატასტროფის მტერათ გადაქცა.

რომ ჩვენ იგივე ბედი არ გვეწვიოს, ნაციონალიზმთან ბრძოლა ეროვნულ საქმედ უნდა გამოვაცხადოთ. ყველა ტომთა და ხალხთა ერთობა—აი რა უნდა იყოს ჩვენი მამოძრავებელი ლოზუნგი. აი რა არ უნდა დაივიწყოს რუსეთმა, შინაური ნეშეცი სჩანდა აქამდი ჩვენ სხვა ერებთან დამოკიდებულებაში.

ეხლა მთავარ სარღლის მოწოდებით პირველი ნაბიჯი გადავდგით ისტორიულ ცოდვის მოსანანიებლათ, მაგრამ არა მარტო პოლონელები იჩაგრებოდენ ჩვენგან და არა მარტო ისინი შეგვეერთდენ ამ დიდ ისტორიულ მომენტში ჩვენ მოვიგონოთ, რომ მთთან ერთათ რუსეთის სახელმწიფოებრივ და რუსულ ხალხურ იდეას მსხვერპლათ ეწირებიან ებრაელებიც ისინიც აღფრთოვანდენ ხალხთა განთავისუფლებისათვის წმინდა ბრძოლით.

როგორც რუსეთში ისე უცხოეთშიაც ებრაელები იბრძვიან და კვდებიან თავის რუსულ სამშობლოსათვის და ამის დავიწყება რუსეთს არ შეუძლია. მაგრამ თუ კი ებრაელები იხოცებიან რუსეთის გულისთვის რატომ არ უნდა ქონდეს ცხოვრების წება ყველგან რუსეთში. რატომ აფიცრებათ არ უნდა იქნენ რუსის-ჯარში.

რუსეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ ყველა ტომთა და ხალხთათვის, იგი სამშობლოა და არა დედინაცვალი. ეს უპირველესათ საჭიროა თვით რუსეთისათვის, მისი ხსნისა, კეთილდღეობისა და სიძლიერისათვის, იმიტომ კი არა რომ სხვა და სხვა ერები მივიბიროთ, არამედ თვით რუსეთის გულისათვის არ უნდა ვუღალატოთ ჩვენ ზეხალხისურ იდეალს. რუსეთის გამარჯვებას გერმანიის გეგემონის მაგივრათ რუსეთის გეგემონის დამყარება მოყვეს, რომ ნემეცის ფეთებელის ადგილი რუსისამ დაიჭიროს ამით ხომ არსებითად არაფერი შეიცვლება, გაბა სულ ერთი არ არის ვის უპრავს ქვეყანაზე პირველობა თუ კი ყველა ერები შინაგან ნემცები ან ოსმალები არიან. დღე ეს ღვთის სახის დამცირება ადამიანისა და ერში დაგმობილი იქნას ჩვენგან. ნუ დავივიწყებთ, რომ ნაციონალიზმი ყველა ერისათვის დამღუპველია, შევეცადოთ მის ამოგდეცას ხალხის სულიდან ისე, რომ იქ ძირი ღრმა დარჩეს; მაშინ დადგება რუსეთისათვის ბრწყინვალე დღესასწაული.

ვილჰელმის სალაშქრო ცხოვრება.

გაზეთები გადმოქვეყნენენ საყურადღებო ცნობებს გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის ცხოვრების შესახებ. იმპერატორს ყოველთვის მისდევს უკან ორი დასაშლელი ფაიჩატური, რომლებიც ისეთი მოწყობილია, რომ ღამის გამთევი ვერ გრძნობს ვერც სინოტივე და ვერც სიცივეს.

ეს ფაიჩატურები გაკეთებულია ორი წლის წინად სპეციალურად დიდი აღლუმებისათვის, რომლებიც იმპერატორად მაშინ გერმანიაში. ისინი იშლება ნაწილ-ნაწილად და გადაიტანება თავისუფლად ერთი ადგილიდან მეორეზე. იატაკი ფაიჩატურებში მოხატულია, ავეჯეულობა სულ მუხის ხისაგან არის გაკეთებული.

სამზარეულო ვილჰელმისა მოთავსებულია განსაკუთრებით მოწყობილ ავტომობილში პლატნაი და საკვებელით.

ვილჰელმის სუფრაზე საღილობს თორმეტი კაცი.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲒᲘᲓᲐᲜ.

გერმანელებისა და ავსტრიელების შუამდგომლობა რუსეთის ქვეშევრდომთა მიღების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრი თხოვნა მოსდის გერმანიისა და ავსტრიის ქვეშევრდომთაგან, რომელნიც რუსეთში ცხოვრობენ, რუსეთის—ქვეშევრდომთა-ხე-რივის შესახებ კერძო გავლენიანი პირებიც ბევრი სთხოვს სამინისტროს ასეთ შუამდგომლობათა დაკმაყოფილებას. ყოველდღე სამინისტრო თითქმის 200 თხოვნას დებულობს. ჯერჯერობით სამინისტრომ მხოლოდ 7000 თხოვნა განიხილა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თხოვნების განხილვის დროს, ხელმძღვანელობს რა მინისტრთა საბჭოს ნაჩვენებ წესებით, დიდი სიფრთხილით იქცევა. უპირატესობას, რასაკვირველია, აძლევს ისეთი პირების თხოვნებს, რომელნიც თავის შრომით რუსეთისათვის სასარგებლო ნაწარმოებს ქმნიან, ან მსახურობენ რუსეთის დაწესებულებებში და თავისი ლოიალობითა და ერთგულებით დამსახურებული არიან.

განსაკუთრებით სიფრთხილით ეკიდება სამინისტრო ბირჟის მეპატრონეთა თხოვნებს, რადგანაც ისინი თავისი პირადი ინგარიშებით ხელმძღვანელობენ და ეცდებიან შეიძინონ სარეკვიზიციო წერილები და გავლენიანი პირები, რათა შეამდგომლობა მათი დაამაყოფილებული იქმნას. ამიტომ სამინისტრომ გადასწყვიტა სარეკვიზიციო წერილები უყურადღებოთ დასტოვოს, საზოგადოთ ყველა მოხოვნილს უპირველეს ყოვლისა ასეთი კითხვა ეძლევა: რატომ მორწმუნა რუსეთის ქვეშევრდომმა ომის დაწყების შემდეგ და არა ომამდე?

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

III.

მსოფლიო ომები და საქართველო.

ევროპის ომმა საქართველოს აგანაც მოითხოვა მსხვერპლი. ათასობით ახალგაზდა ქართველები რუსის მეგობრებს გვერდში უდგანან და მათ სიგმირეს, გამარჯვებასა, დამარცხებასა, სიხარულს და ტანჯვას შუა იყოფენ. ქართველებისთვის ომი უცხო არ არის. ისტორიული ბედი ქართველობასა ისე მოიწყო, რომ იგი მუდამ მონაწილე ყოფილა იმ ომებისა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონიათ. ამასთან, იმავ ისტორიულ ბედის წყალობით, ამ მსოფლიო ომებში ქართველობა ხან საკუთარ დროთა გამოსულა, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული ხალხი, ხან სხვის დროშის ქვეშ, მოკლებული ამ სუვერენობას.

ქართველების მსოფლიო ომებში მონაწილეობის უძველეს ამბებს ვანის ლურსმული წარწერები იძლევიან და უკვე ასსირიელებმა აღბეჭდეს ქართველების სამარი ნიკი და უნარი. თუ მეცნიერება შესძლებს იმის დამტკიცებას, რომ ასსურს-ბაბილონის ცივილიზაციის ძლიერი მეტოქე ხალხები ნაირი, თუბალნი და სხვანი ქართველების წინაპრები იყვნენ, ჩვენს წინ გადიშლება საუცხოო ისტორია მსოფლიო კულტურის ბრძოლისა, რომელშიც ქართველების როლი მდიდარი და ლამაზი იყო. ვინ იცის როგორ დატრიალდებოდა მსოფლიოს ბედი, რა დამშორებოდა თვით ჰელლადის ბრწყინვალე კულტურას, როგორ შეიცვლებოდა იგი, როგორ გადიზნევდნენ ხეტტურ კულტურის სხივებში ლი და ამაყი სული წინა აზიაში მცხოვრებ ერებისა, ამ გიგანტურ ბრძოლაში, რომ ალაროდიელებს გაემარჯვათ. მაგრამ ეს არ მოხდა და ორივე მებრძოლი ერი მსოფლიო ბატონობისთვის ასსირიელებიც და ალაროდიელებიც სპარსეთის დესპოტიურ კულტურასთან ბრძოლაში დაიღუპა. ორთავიანი არწივი, გმობელმა სახელმწიფოებრივ ძლიერებისა, რომელთაც შემკული იყო ჯერ ვიზანტიის სახელმწიფო გერბი და შემდეგ სამ თანამედროვე ძლიერი სახელმწიფო—რუსეთი, გერმანია და ავსტრო-უნგრია—იმავ ხეტტების სახელმწიფო გმობელმა იყო, რომელთაც მეცნიერება ქართველების წინაპრებათ აღიარებს.

შემდეგ, როცა მსოფლიო ასპარეზზედ ელადა, სპარსეთი, რომი და ვიზანტია გამოვიდნენ—ქართველობის როლი მსოფლიო კულტურის ბრძოლაში არა ნაკლები იყო.

არას ვამბობ მითოლოგიურ ხანაზედ. ტროადის ბრძოლაში ქართველების მონაწილეობა ეჭვს გარეშე უნდა იყოს, არგონავტების ლაშქრობა ხომ პირდა-

პირ ჩვენ გვებება და ამარძლები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მედი, რომელმაც საუცხოოთ იცოდა ძილის მომგვრელ სასმელების კეთება ბალახებიდან. ქართველების გაშინაურება მცირე ახნის იმ ადგილებში, სადაც ითხზებოდნენ მშვენიერი ლეგენდები და თქმულებები ბერძნული მითოლოგიისა, იმდენათ დიდი იყო, მათ ისე ხშირათ უხდებათ იქ ყოფნა, რომ იქ მიღებული შთაბეჭდილება ქართულ ცხოვრების სიტყვა-პასუხის და ჩვეულების საგნით ხდებოდა. მცირე ახნის ძველი და მრავალ-ცხოვანი ქალაქი მილეთი იმდენად ნაცნობი, იმდენათ ნათესავი იყო ქართველებისთვის, რომ, როცა მათ დიდი რიცხვის აღნაშენი სურთ, ეხლაც ამბობენ—მთელი მილეთის ხალხი იყოო! რამდენია ეხლაც ჩვენს ენაში, ჩვენს ჩვეულებაში, ჩვენს აგებულებაში ისეთი ხაზი, რომლის გაგება, ახსნა და განმარტება ახალ შუქს მოჰფენდა ჩვენს ენობას.

თუ ისტორიულ ელლადაზე გადავალთ, დაახლოვება ქართველებისა აქ უფრო დიდია. დარიოსისა და კიროსის ურდოებში უეჭველათ ქართველებიც იყვნენ, რადგანაც საქართველო მაშინ სპარსეთის სურაპაიას შეადგენდა და სპარსეთისა და საბერძნეთის გამუდმებულ ბრძოლაში საქართველო და მისი მკვიდრნი არა ერთხელ ყოფილან გამოკუთხილნი, რომ თვით მოსულა ჩვენთან. პომპეუსმა მცენათმიდის იარა და ძეგლათ ის ხიდი დგებტოვა, რომელიც ეხლაც არსებობს და რომელზედაც ხალხი ლაშაობკოდს, რომ რომის სარდალმა ქართველებს კვერცხის ხარკი დაადო და ცილაში გათქვეფილ კირით აგუშენა ის ხიდიო. ურთიერთობა რომისა და საქართველოსი მარტო ამ ერა ნასკნელს ბატონობაში არ გამოხატებოდა და ძალიან ხშირად ეს ერთი-ერთობა პოლიტიკურ სარგებლობაზე იყო დამყარებული, რომელიც ხშირად ღრმა პატივისცემით მიდიოდა. რომის ანუ სკრიპტებში დღესაც არის დაცული ის გადმოცემა, რომ ნიშნად რომაელთა ერთგულის მეგობრობისა.—რომის სენატში ქართველ მეფის ფარსმანის ქანდაკება იდგა.

ჩვენი დამოკიდებულება ვიზანტიასთან ყველასთვის ცნობილია და იმავ სპარსეთთან ბრძოლაში, ქართველები ბიზანტიელების გულისთვის დავამარცხეთ ირანელები და როდესაც სამშობლოს ისტორიებმა მოითხოვეს, ჩვენ დაუპარებით და განვდენეთ თვით ბიზანტიელები. რისხვა ხალხისა იქამდის მივიდა, რომ მეტების ციხეში თავის გარნიზონით გამოწყვედეულ ვიზანტიის იმპერატორ ირაკლის, თფილისის ხალხი, აფშარის ხიდიდან, „მამაო მაყალს“ ეძახდა. ჩვენ დამოკიდებულება ახალ სპარსეთთან ისეთი დიდი იყო, რომ სპარსეთის ისტორიის უდიდესი ნაწილი იგივე საქართველოს ისტორიაა. ერთ დროდან მოყოლებული, საქართველოს ტახტის მემკვიდრენი სპარსეთის ჯარების მთავარ-სარდლებათ ირიცხებოდნენ, და ეს უპირველ ტიტულტი როდი იყო. გიორგი მეთერთმეტემ და პატარა კახმა სპარსეთის ჯარებით ინდოეთამდის იარეს და ამ ლაშქრობაში გასაოცარად ტალიკელი იყო ბედმაღალნიერ მხედართათვის გიორგი მეთერთმეტისა. თვის ქართველს ჯარით, რომელიც სპარსეთის ლაშქრობაში ავანგარდობას ეწია, იგი დაიკუპა შორეულ ქვეყანაში და სხვის გულისთვის, როდესაც მისი სამშობლო თვით საჭიროებდა ჯარსაც და სარდალსაც არა ნაკლებ ბრწყ ნვალე იყო ქართველების როლი ჯვაროსნობის ომებში, როცა გაწელილ ბიაბაღით წმიდა აღგილებში შესვლა მარტო ქართველებს ქონდა, იმ უკუნით ბნელში და დაუსრულებელ ომებში და სისხლის ღვარში, რომელსაც წარმოადგენდა კაეკასია და მთელი წინა აზია, დაწყებული მეათე საუკუნიდან მეთერთმეტემდე—დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ბაგრატ დიდი, გიორგი ბრწყინვალე, ირაკლი—ისე სწანან ვით სვეტი ნათელი, რომელთაც თან მიჰყავდათ უძრავი ჯარები, სამშობლოს გამოსახსნელად სასტიკ და მრისხანე მტრებისაგან. მაგრამ რაინდებისა და გმირთა შრავალ წყებაში განსაკუთრებით გამოსჩანს მრისხანე სახე გიორგი საყაძისა, რომელმაც თავისი თავი სამი სახელმწიფოს სკოლის მარჩიელათ გამოაცხადა და სპარსეთი, ოსმალეთი და საქართველო—კავკაზია მის ნების ყოფას ასრულებდნენ შეშინებულნი მაზეც. იმ აუარებელ შრომის შემდეგ რომელიც გაწეული აქვს ქართველს, და რომელიც აქ მხოლოდ მცირალთ არის ჩამოთვლილი—ჩვენ ნება გვაქვს დავისვენოთ.

ა.—ი.

არჩევნების წინ.

ქუთაისის ვაჭრებისა და მცხოვრებთა საყურადღებოთ.

ქალაქის კეთილდღეობა და მისი ეკონომიურ-კულტურული წინსვლა და აყვავება, როგორც უწყის, დამოკიდებულია მის ნივთიერ ქონებაზე და მის პატრონ-მამებზე.

როგორც გონიერი და წინდახედული სარდალი ყოველგვარ ხიფათს ააცდენს თავის ჯარს და ბრძოლის ველიდან გამარჯვებული გამოიყვანს, ისე გამოცდილი პკვიანი ქალაქის პატრონ-მამები მიანიჭებენ ქალაქს ყოველგვარ კეთილდღეობას და სავსებით გაამართლებენ მათი ამჩევლების ნდობას. ამიტომ ჩვენს მოვალეობას შეადგენს ქ. მამებათ ნამდვილი მამები ავირჩიოთ და არა მამინაცვლები, —მამები საქმის მცოდნე, კეთილსინდისიერი და ენერგიით სავსე მუშაკნი, თორემ ჩვენი ქალაქი, მე მგონია, ვერც ამ მიმდინარე საუკუნეში ეღირსება იმ სიკეთის და კეთილმოწყობილებას, რაც დღეს საზღვარგარეთ უბრალო ევროპიულ სოფელსაც კი აქვს მინიჭებული.

ნათლია-ნათლიმამობას და მოყვრობა-მეგობრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს არჩევნებთან. ვინც კარგია, ყველა გარგია რა წრასა, წოდებისა და ეროვნების არ იყოს, ვინც ჭკვიანი და სასარგებლო კაცი, თუნდა ცხრამთას გადაღმელი იყოს, ხელი უნდა გავუწოდოთ და სათავეში დავაყენოთ. ეროი ჭკვიანი და საქმიანი კაცი ოცსა და ორმოცს უსწავლელს და გამოუცდელს სჯობს.

უსწავლელი და უმოკმედო ხმოსნები მარტო კენჭის მისაცემათ თუ ვარგან, თორემ სხვაფრივ არა; ხმოსანს, როგორც ქალაქის არჩეულ პირს უსათუოდ რამე სპეციალური ცოდნა-გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რომ მისი ცოდნით რამე სიკეთე შესძინოს ქალაქს, თორემ მარტო ხელისათვის და კენჭობისათვის, აქამდის მე შეძლებული და დიდი კაცი ვარ და უსათუოდ ხმოსნათ უნდა ვიქნეო—ცოდი თავხედობაა.

ჩვენი ქალაქის ხმოსნების უმრავლესობა დღიდან თვითმართველობის დაწესებისა ჩვენში რომ თავიანთ ადგილზე ვერ იყვენენ, ესიქიდან სჩანს, რომ ამგერ თითქმის 35 წელიწადია ჩვენს ქალაქში თვითმართველობის შემოღების დღიდან და სამუშაროთო, ჩვენ დღესაც მოკლეთ ვართ წყალსადენს, ხეირიან ქუჩებს, განათლებას, ტრამვაის, რიგიან განათებას, რკინიგზის მაგისტრალს და სხვა კეთილდღეობას.

უმთავრესი მიზეზი ჩვენი ქალაქის სიღარიბისა, ჩვენის აზრით, არის უქნილობა რკინიგზის მაგისტრალისა, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ უკუღმართი ადგილების წყალობით ჩვენს ქალაქ ასცდა, რის გამოც ქ. ქუთაისს და მთელ დასავლეთ-საქართველოს ყოველწლობით ასი ათას ხალხეზე მეტი ზარალი აქვს, სულ ცოდნად რკინიგზის გაყვანისა ოთხ მილიონ მანეთამდი ზარალი, და ეს იმიტომ, რომ გზა ფოთიდან ქუთაისზე, გამოეცვანათ, ათი-თუოხმეტი ვერსით მოკლე იქნებოდა ჩვენთვის და, მაშასადამე, საქონლის მოტანა და მგზავრების ბილეთიც ნაკლები ღირებულება, მაგრამ ასე არ მოხდა და ჩვენი უგულისხმობით დავკარგეთ სიმდიდრე, გზა ასცდა ქუთაისს და ახლა ჩვენ და ჩვენი შვილის შვილები გვრდა იმისა რომ ყოველწლობით ასი ათას მანეთს ზედმეტს ვიხდით საქონელსა და ბილეთებზე—რიონის სადგურზე უნდა ყეყარნენ და ვთვლიმოთ მატარებლის ხოსელის მოლოდინში.

ჩვენ ქალაქს სამი კარგი შემთხვევა ჰქონდა რკინის გზის მაგისტრალის შეთხოვნისა და სამივე შემთხვევა ხელიდან გაუშვით ჩვენი უგულობით.

პირველი შემთხვევა იყო, როცა ფოთი-თფილისის რკინის გზას აკეთებდენ. მაშინ ბ-ნი კო ნიკოლაძის პროკეტით, რომელიც დასტამბულია 1869 წ. „პეტერბურგის უწყებებში“, გზას უნდა გაევლო მეიდრით დასახლებული ადგილები ფოთიდან ძველ სენაკზე, ბანძაზე, ხონზე, ქუთაისსა და გიდოგან-სიმონეთით ყვირილას უნდა მისულიყო. მაგრა რადგანაც მაშინ ქუთაისს კაცები არ ყავდა რომ მხარი დაეჭირათ ბ. ნიკოლაძის პროეკტისათვის, ამიტომ ისარგებლა ამ შემთხვევით მაშინდელმა გუბერნიის მართველმა, რომელსაც დიდი მამული ქონდა აჯამეთში ნაბოძები და რომ მის მამულს ფასი დასდებოდა და ხეტყე გაესალებია, ყოველი ღონე იხმარა და კიდეც გააკეთა თვის მამულში გზა. ხოლო ქუთათურებს კი ასე აუხსნეს და დააჯერეს: ვითომც რკინის გზა ახლო ქალაქთან დიდათ მავნებელი იყოს: სანაბაგეს გაიძარცვებს, სახლებს გადაწვეს ლოკომატივიდან ამოვარდნილი ნაპერწკლითო და კვამლით გაიმურება ქალაქიო. და ვინც ასეთი ლაპაიები დააჯერა მაშინ, იმითგან აბა რა სიკეთე უნდა გამოსულიყო და რა პატრონობა უნდა გაეწიათ ასეთ ვაჭაბტონებს ქალაქისთვის.

მეორე საუკეთოო შემთხვევა იყო 1895 წელს, როცა ამიერკავკასიის რკინის გზა ლიხის მთის აქეთ ვიღრე რიონის სადგურამდე, სრულიად წლეულ ნიადაგიმა და სვირასა და აჯამეთის დიდი ხიდებიც კი დაანგრია, მაშინაც დიდად პატივცემულმა ნაკო ნიკოლაძემ, წინადადება მისცა ქუთაისის თვითმართველობას ესარგებლათ შემთხვევით და გადაეღოთ ეკვსი ან შვიდი ათასი მანეთი გზის გამოსაკლევათ ყვირილიდან სიმონეთით ქუთაისსა და სამტრედიამდი და წარედგინათ პროეკტი ამიერკავკასიის რკინის გზის მართველობისათვის, მით უმეტეს, რომ გზის ასეთ მიმართულებას მხარს უჭერდენ ზოგიერთი გავლენიანი რკინის გზის ინჟინრები, რადგანაც რკინის გზას არ სჭირდებოდა ორი დიდი ხიდის გაკეთება სვირისა და აჯამეთის (რაც ერთი მილიონი ნახევარი მანეთი დაჯდა შემდეგში).

ქუთაისის ქალაქის მაშინდელი მამებიკი დარწმუნებული იყვენ, რომ რკინის გზა ისეც შემოიყვანს ქუთაისში მაგისტრალსო, რადგანაც ძველ ნაგზურზე დიდი ხარჯები დასჭირდებათო და ქალაქმა რისთვის უნდა დახარჯოს ექვსი ათასი მანეთი ტყუილათო.

ასე და ამ რიგათ ნიკოლაძის კეთილ რჩევას წიხლი ჰკრეს ქუთათურებმა და ამით კი რასაკვირველია გახარებული დარჩა აჯამეთის მემამულე და ისე მოაწყო საქმე, რომ გზა ისევ ძველ ნაგზურზე ე. ი. თავის მამულში გააყვანინა რკინის გზის მართველობას. ერთმა ქალაქმა სომეხმა ქუთაისის მამებს აჯობა ჭკუით, ფულის ნაჯაც არ შეუნდია და სამაგიეროთ ერთი ასათ სარკებლობს დღეს.

მესამე შემთხვევა იყო ამ სამი წლის წინეთ, როცა ამიერ კავკასიის რკინის გზამ ქუთაისის ვაგზლის გასაფართოვებლათ ნახევარი მილიონ მანეთი გადაიხადა. მაშინ ჩვენ დაწერილებითი მოხსენება წარვუდგინეთ რკინის გზის მართველობას და ეუმტკიცებდით ახლადდელი ვაგზლის უვარგისობას და იმ ადგილზე დატოვებას, სადაც იგი დღეს არის და ვურჩევდით მიემატებინათ იმ ნახევარი მილიონ მანეთისათვის კიდევ ერთი იმდენი და შესაძლებელი იქნებოდა მთელი შტოს გადმოტანა რიონის მარჯვენა ნაპირზე და მაშასადამე მაგისტრალის შემოყვანასაც ვეღირსებოდით ქუთაისში, მარა სამწუხაროთ ამ საქმეზეც, როგორც ყოველთვის ყოფილა ჩვენში გადაღრიცხენ უკუღმართი ადამიანები წინ პირადი ინტერესებით აღტკურვილნი და საქმე ჩაშალეს ქუთაისის ვაგზალი დასტოვეს ძველ ადგილზე, რომლის გასაფართოებლათაც ისი ათასობით დახარჯეს ფული და მიუხედავათ ამდენი ფულის ხარჯისა ვაგზალი თითქმის ისეთ მდგომარეობაშია დღესაც, როგორც ეს წინათ იყო, ყოველგან სივიწროვე და მოუხერხებლობა, მგზავრები ერთი მეორეს ახის თავზე, ბილეთის კასასთან კი ვეჯაცი უნდა რომ მივიდეს და ბილეთი იღოს ისე რომ გვერდი არავინ ჩაბეჭვინოს. აი ესეც შენი გაფართოვებული ვაგზალი.

რაც შეეხება საქონლის სადგურს მიუხედავათ ოთხი წლის მუშაობისა მას არაფერი ანჩია და ვინ იცის კიდევ რამდენ ათას მანეთს ჩაუყლაპავს და როდის მიეცემა მის მოთავებას დასასრული.

დასასრულ აქ ერთი ჩვენი დაფიქრება და სიგლახე მინდა აღვნიშნო: 1912 წ. სეპტემბერში, როცა ქუთაისის ვაგზლის დასათვალიერებლათ ჩამოვიდა გზათა მინის ტრის ამხანაგი ინჟინერი ბ. დუმიტრაშკო, ის მეტათ გაკვირვებული დ-გაოცებული დარჩა რკინის გზის ძართველობის მოქმედებით და მუშაობით ვაგზლის გასაფართოვებლათ. ის უხერხულებანი და ნაკლულევანება-სივიწროვე ვაგზლისა, რომელიც ჩემ მიერ იყო ნაჩვენები, ჩემს მოხსენებაში და რომელიც უმთავრათ დასტოვეს და შენახულია რკინის გზის მართველობაში, თითქოს ვინმეს ეკონომების მინისტრის ამხანაგისათვის, —ეროის თვალის გადავლებით ყველაფერი შენიშნა და დიდი საყვედურით მიმართა მაშინდელ გზის უფროსს: „სად ჩვეყოფიათ მაგდენი ფულები, რას ჰგავს ეს, ხომ ჰხედავთ აქ გასაქანი არსით არის და ხუთ-ათი წლის შემდეგ ხომ სულ არ იქნება და ძალა უნებურათ უნდა გადიტანოთ აქიდან სადგურიაო“.—ჩიორა ინჟინერებს მაშინ პირში ენა ჩაუვარდათ და როგორც იყო ამოილუღუღეს და თავს იმით იმართლებდენ თითქოს ქვევით რიონის სადგურისკენ და რიონს გალმა ადგილები დასაღებულია მცხოვრებლებით და ძვირათ ფასობენო, აქ კი სადგური კიდევ 25 წელს თავისუფლათ იმსახურებსო და სხვადასხვა და ამით დაამშვიდეს მინისტრის ამხანაგი, უკეთ რომა ვსთქვათ, მოატყუეს და საქმე მიაფუჭებეს, მაგრამ მინისტრის ამხანაგის სიტყვა მაინც უტყუარი რჩება და ქუთაისის სადგური, აღრე თუ გვიან, მაინც გადასატანი შეიქნება და ეს ამოდენა ფული კი ტყუილა დახარჯული იქნება უთავბოლო და უნიჭო ინჟენერების წყალობით.

ქუთაისის ვაგზალი ყოველდღეძაღლეს შემოსავალს რკინის გზას 10—12 ათას მანეთს, და ასეთ შემოსავალ ვაგზალზე რომ ფეხის ადგილიც არ იყვეს რიგიანათ გაკეთებული, საზოგადოების აბუჩად აგდება არ არის? აბა ნახეთ რა სიმყარალე ვაგზალთან. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო“ რომ ანუკვან სწორეთ ასე გვეჩრის დღეს ჩვენ, და დღეის შემდეგ რაც იქნება და რა ცვლილება დაეტყობა ჩვენს ქალაქს—ეს დამოკიდებულია ახალ ხმოსნებზე.

ვასილ მახსულია.

ქუთაისი

ახალი ამბავი.

ქუთაისში მცხოვრებ ახალგაზდა მწერალს მგოსნებს განზრახვა აქვთ გამოსცენ ქუთაისში ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

✦ გუშინ საზოგადო საერგებულოს საზეიმო შეწონაში დანიშნული იყო, საღამო სეირობა—ლოტო, რომლის შემოსავალიც გადაიდება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოთ.

✦ როგორც საგუშაგონო სიმართველოდან გავიგეთ ქალაქის სავაფმყოფოს ფერშალმა ნ. ახელედიანმა თავის თანამდებობის თავი დაანება. მის მაგივრათ დაინიშნა ფერშალი—სპეციალისტი იპოლიტე შარაშიძე.

✦ ქუთაისის ბაზარზე, სოფლებიდან ურმებით უყრძენი უკვე შემოდის.

✦ 9 სეპტემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში შეხდა საბჭოს მორიგი კრება, ეს კრება ამ ზაფხულის შემდეგ პირველი იყო. კრებ ზე ყველა ხმოსნები დესწრენ. საბჭომ სხვათა შორის დაადგინა ხორცის ნიხრი 2 კაპიკით შემცირდეს.

✦ როგორც ს. ჩხენისწიდან (სამტრედის რაიონი) გვწერენ, 7 სეპტემბერს, ღვთის მშობლობის წინა ღამეს აქ ეკლესიასთან ხალხი ჩვეულებრივათ შეიკრიბა. ზოგი ლოცულობდა და ზოგიც დროს ატარებდა. ეკლესიის მახლობლათ იქვე არის ღვინის სავაჭრო დუქანი, სადაც სამოკმედე კაცს თავი მოეყარათ და ღვინოს შეკეცვდენ. იქვე იყო მამა-სახლისიც. როცა კარგათ შეთვრენ ჩიუბი მოუვიდათ, რის დროსაც მეეტლე ბაძაძემ სასიკვდილოთ დასჭრა რაზმაძე. ამ ამბავმა ქალებსა და ბავშვებში შიშის ზარი ჩამოაგდო და წვიდ-კივილით შინისკენ გაემართნ. საქმეში პოლიციელი ჩერია.

✦ კბილის ექიმი ვარლამ ჭიპანიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 9 სეპტემბერს ქუთაისის სადგურზე დარჩენია „სკეოიაი“. მნახველს სახოვ გაუგზავნოს გელათის სადგურის უფროსის სახელზე, რისთვისაც ჯილდოთ 5 მანათს მიიღებს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ფეატრი და ცხოვრების“ მორიგი (27) ნუმერი. ჟურნალი ჩვეულებრივი შინაარსისაა და შეიცავს ბევრ საინთერესო.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია გუშინ საქმეების გასარჩევათ ხელდიდი გემგზავრა.

✦ შავიქვის მრეწველთა საზოგადოება ქალაქის წარმომების შეჩერების გამო ადგილობრივ ყველას შეუწყვეტს, ვინც კი ნასესხები კურსზე არ არის.

✦ როგორც ს. ხარაგაულის საზოგადოებიდან გვატყობინებენ—აქ გავრცელებული ყოფილა სახიდი (ტიფი). მიმანობის გამო ჩარჩმოვაკრებთ თავი ძალზე აიშვეს. ყოველივე სანოვაგეს ფასი აუწიეს.

✦ გუშინ თფილისის გაზეთები არ მიგვიღია.

თფილისი.

სახალხო სახლში ქართული სახალხო წარმოდგენების მართველ წრის გამგეობის წევრებისა და სკენის მოყვარეთა შეერთებული კრება 3 სექტემბერს მოხდა. კრებამ ითათფირა სათეატრო სეზონის დაწყების გამო. გამოირკვა, რომ სეზონის დაწყება შესაძლებელია მიმდინარე სექტემბრის შუა რიცხვებიდან. კრებამ დაადგინა, სეზონისთვის მზადებას ახლავ შეუდგეს. გათვალისწინებულ იქმნა მომავალ მუშაობის გეგმა და სკენის მოყვარეთა შორის განაწილებული იქმნას როლები.

— ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გადაწყვეტილი ჰქონდა, წელს საქართველოს სხვადასხვა ალაგას მაშულები შეეძინა. სხვათა შორის, სპიროდ იყო აღიარებული ტყეიაში მაშულის ყიდვა. ამ ჟამად საერთო მდგომარეობის გამო საზოგადოების შემოსავლის წყარო შესუსტებულია, რის გამოც საზოგადოება იძულებულია ჯერ-ჯერობით ხელი აიღოს ახალ მაშულების შეძენაზე. საზოგადოების საბჭო სხვა ხარჯებსაც ამცირებს.

ბიბლიოგრაფია.

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული დაწყებითი სკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის სას. ბანკურო სკოლის მასწავლებელთა ერთი ჯგუფის მიერ, გამოცემა კოოპერატივისა და ამხ. წივნის მაღაზიისა, ფასი 7 შაური. ქუთაისი, 1914 წ.

თვალსაჩინოება სწავლების სული და გულია—და ეს დებულება პედაგოგიკამ დიდი ხანია, რაც უცილობელ ეჭშმარიტებათ აღიარა. ახლა საქმეც ხშირად ისაა, რომ ეს პრინციპი საზრიანათ და მიზანშეწონილათ გამოიყენონ სწავლებაში.

რაც უნდა სანიტერესო საგანი იყოს, მაინც ყოველთვის შესაფერ ხალისსა და სიცოცხლეს მოკლებული იქნება, როცა მასზე მარტოოდენ განყენებულათ მსჯელობენ და რაიმე კონკრეტული საგანი ან მოვლენა მას საფუძვლათ არ უდევს. პირდაპირ პრაკტიკულ დანიშნულების გარდა თვალსაჩინოება საუკეთესო გზა და ხიდია თვით საგნის შეთვისებისა და შესწავლისათვის—და სწორეთ ამ პრინციპზეა დამყარებული იმის შემოწმებაც, თუ რამდენათ და როგორ შეითვისა ყმაწვილმა ესა თუ ის საგანი, ამა თუ იმ სტატიის შინაარსი (იხ. ჩვენი წერილი: „შეგნებითი კითხვა“, ჟურნ. „განათლება“ 1911 წ.) თვით თვალსაჩინოება განსაზღვრულ ფსიხოლოგიურ კანონს ემყარება, რომელიც ამბობს: რაც უფრო მეტი გარეგანი გრძნობა ეკვთხულობს მონაწილეობას შთაბეჭდილების მიღებაში, მით უფრო სრული და მკვიდრია ეს შთაბეჭდილებაო. ამას გარდა თვალსაჩინოება ყმაწვილის სულში იწვევს შესაფერ ხალისს (ინტერესი) განსაზღვრული საგნისადმი, ავითარებს დაკვირვების ნიჭს, ამოძრავებს და ავარჯიშებს გულის-ყურს და სხვა დასხვა სულიერ ძალებს... ასეთი ვაჟკრიშობისათვის ის დაუნრატელი წყაროა და მსწავლებლისათვის ფასდაუდებელი სალაროა, რომელსაც იგი უნდა მიმართავდეს სწავლების თითქმის ყოველ ნაბიჯზე.

ეს დალოცვილი თვალსაჩინოებაც ისეთი უხვი რამ არის, რომ ძნელათ თუ ისე გაძღუნდეს, რომ მასწავლებლის ზრომა არ დაიფაროს და მასაფერათ არ დააჯილდოოს. ყოველ შემთხვევაში, ეს ხელსაწყო თვალსაჩინოების ბრალი არ იქ

— სავაჭრო სახლი —

ი. გოკიელის ორ-ბის

ქუთაისში.

ამით აუწყებს მოსწავლე-ახალგაზდობას

რომ მათ მიერ მისაღებად საჭირო აუცილებელი საწერი, სახატავი და სხვა მრავალი საკანცელარიო ნივთი ფასება ხელმისაწვდომია. თანახმად კატალოგის საოლქო მზრუნველმა წინადადებისა, ჩვენ მიერ გამოცემულ დრეკულებზე დღიურებზე მოთავსებულია დარიგებანი თუ როგორ შეიძლება თავის დაღწევა (მალარიისაგან) ციებისაგან, შიგნით და წებრობა.

დიდი ასარჩევი

ამ საქონელში

ხელახლად ჩვენ-მიერ გამოცემულია

დღიურება მოწაფეთათვის, რომელიც სავსებით მოწაფეთა მოთხოვნილებაზეა შეთანხმებული. დღიურები დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და მიუხედავად ამისა ფასები დატოვებულია წასული წლის.

ნება, უფრო კი თვით მასწავლებლისა, რომელმაც შესაფერად ვერ ისარგებლა მისი უხვებით.

თვით წამკვლილი საგანი, ანუ მისი მხატვრობა, სხვა და სხვა ცდა და დაკვირვება—ის თვალსაჩინოების დედამიწა—და სახელმძღვანელოების ავტორებიც ცხრილობენ, თავიანთი სახელმძღვანელოები ამ ყალიბზე გამოსჭრან.

რასაკვირველია სწავლების საქმე ცალმხრივი იქნებოდა, თუ ყმაწვილებს მარტოოდენ საგნებზე ვიკვირკვებოდით და განუყენებლათ მსჯელობას არ მივაჩვევდით. პირიქით, ადამიანის განვითარება იმითი უფრო გაიზომება, თუ რამდენათ შეუძლია მას განუყენებელათ ფიქრი და მსჯელობა. მაგრამ, ერთი რომ ასეთი მსჯელობის დროს ადამიანის გონება რომელიმე განსაზღვრულ საგანს ან მოვლენას უკავშირდება, და მეორეც ისა, რომ განუყენება ადამიანს მოეთხოვება განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, და წყებითი სწავლებაში კი თვალსაჩინოებას უდიდესი როლი აქვს მინიჭებული.

თვალსაჩინოების პრინციპი იმდენათ დიადია, რომ მას მიმართავენ არა მარტო ენისა და ისტორიის შესწავლის დროს, არამედ მაშინაც კი, როდესაც არითმეტიკის ოთხ მოქმედებასა ასწავლიან. არითმეტიკაში ეს პრინციპი პირველათ გერმანელმა პედაგოგმა გრუბემ გაატარა; გერმანიიდან ის ამერიკას მოედო და იქ ისე განვითარდა, რომ თვით შკრებაგამოკლებასაც კი ასურათებენ და ამ საგნის შესაფერ ცხოველმყოფელობას ანიჭებენ.

არითმეტიკა განუყენებულ საგანთა რიცხვს ეკუთვნის და, როგორც ასეთი, მოსაბეზრებელი რამ უნდა იყოს განსაკუთრებით ისეთი ცოცხალი ელემენტებისათვის, როგორც არიან ბავშები. ამიტომ მისი გათვალსაჩინოება, კონკრეტულათ, რეალურ საგნებზე გამოსახვა, ყმაწვილების ნაცნობი და საყვარელი საგნებით დასურათება ფრიად დიდი ნაბიჯია ამ საგნის შესწავლაში გადადგმული. ასეთი დასურათება შესაფერ ხალისსა და სიყვარულს უღვიძებს ყმაწვილებს, ჩასძახის, რომ თქვა და ანგარიში მისთვის უკვე ნაცნობი მეგობარია, და ამ რიგათ, ზოგიერთი ნიჭის ყმაწვილი, რომელთაც სხვა პირობებში შესაძლოა დაფრთხებოდა და ამ „სიძნელის წინაშე“ უკან დაიხევდა, თვალსაჩინოების წყალობით შესაფერ ნაბიჯსაც გადაღგამს და უკანაც აღარავის ჩამორჩება.

ჩვენში მაღლობა ღმერთს, შვილების რიცხვი მატულობს, ბოლო დროს სხვადასხვა სახელმძღვანელოც ბლომათ იბეჭდება, მაგრამ დაწყებითი არითმეტიკის ზემოხსენებულ წესით გამოკვლია დღემდი არავის განუზრახავს.

წინამდებარე „კრებული“ ამ მხრით პირველსა და ფრიად ჩინებულ ცდასაც წარმოადგენს ჩვენში.

პირველი გვერდიდანვე იწყება ე. წ. „თვალსაჩინო თვლა ათამდი“ და პირველი ათეულის ყოველმხრივ შესწავლას—მითვლა-გამოკვლებითა და გაყოფა-გამრავლებით უპირავს წიგნის 55 გვერდი. ეს ნაწილი ფრიად მდიდარია სურათებით, შესაფერი მარტივი ამოცანებით და სწრაფა-სავარჯიშოებით. მითვლა-გამოკვლება ორ-ორისა, სამ-სამისა და ასე ათამდი სულ სურათებზე სწარმოებს; სურათებზევე სწარმოებს გაყოფა-გამრავლებაც. ამ ნაწილშივე იწყება კ. წ. რიცხვების შედარებაც.

პირველ ათეულს თან მისდევს მეორე ათეულის შესწავლაც. აქ უკვე სურათების ადგილი წერტილებს უპირავს. ამ ნაწილში ყმაწვილები ეცნობიან სხვათა შორის ისეთ ცნებებს, როგორიცაა დროისა და ზოგიერთი სხვა ზომები. ითვლება სავარჯიშოს თან მისდევს შესაფერი ამოცანები. 78 გვერდიდან იწყება ათეულ-ოცეულების შესწავლა ასამდი,—და შემდეგ—ყოველგვარის რიცხვებისა ამავე ფარგალში. ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული გაყოფა-გამრავლების შესწავლას.

ამოცანები დაყოფილია ჯგუფებად და თითოეულს ჯგუფს შემდეგ მოწაფეებს წინადადება ეძლევათ—მსგავსი ამოცანები მოიგონონ. ამით მათ საქმაო მასალა ეძლევათ დამოუკიდებლათ ვარჯიშობისათვის.

მასალის დალაგება, მარტივი და მსუბუქი ენა, მრავალრიცხოვანობა ბეურსისაგან თავისუფალი ამოცანები, ჩინებულ ქაღალდზე დაბეჭდილი ლამაზი გამოცემა ნების გვაძლევს—ამ წიგნს ფრიად საკარგებლო შეძენა ვუწოდოთ ჩვენი ნორჩი სამოსწავლო ლიტერატურისათვის.

ვისურვებ, რომ ავტორებს ამ წიგნის მეორე ნაწილიც დროით მიეწოდებინოთ ჩვენი მოზარდი თაობისათვის.

დონ.

თეატრი და ხელოვნება.

ქართული თეატრი. სამშაბათს, 9 სექტემბერს შუადღის 12 საათზე ქუთაისის საქალაქო თეატრის ფოიეში თავი მოაყარა ქუთაისის დრამატიულმა დასმა, რომელიც მოწვეული წრეკავლდელი სეზონისათვის, აქვე შეიკრიბენ დრამატ. საზოგ. გამგეობის წევრებიც თავის თავჯდომარის ილია ჩიქოვანის მეთაურობით. გამგეობისა და დასის წევრების ერთმანეთის გაცნობისა და მისალმების შემდეგ გამგეობის თავჯდომარემ ილია ჩიქოვანმა დასს მიმართა ვრცელის, მეტად გრძნობიერის და შინაარსიანის სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა ქართველ მაყურებლის თავგანწირული მუშაობა ამ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში, მათი უშრომობა და შეუდრეკლობა ყოველივე ჭირვარამისა, დაბრკოლებისა და განსაცდელის წინაშე; მერე დაახასიათა წინადელი მძიმე და მწვავე მომენტი, რომელსაც სასტიკი ოსმანობის გამო განიცდის მთელი ქვეყნიერობა და მასთან პატარა საქართველოც, რომლის მამაცნი შვილნი სახელოვნად იბრძვიან შორეულ ჩრდილოეთში... ამიტომაო, დაასრულა ბ-ნმა ჩიქოვანმა, ცოტა არ იყოს, სამშობლოს წრეკავლდელი სეზონის სრულის გამარჯვებით დამთავრებაო, მაგრამ გავითვალისწინებთ რა, რომ თქვენ შორის, ბატონებო, არიან ისეთნი დამსახურებულნი და საზოგადოების გულგრილობასთან ბრძოლაში დაბერებულნი პირნი, რომელთაც გვერდში უნდა ვუდგეთ ახალგაზდა ამხანაგები,—გული იმედით გვევსება, რომ ჩვენი მეგობრული, შეთანხმებული და შეგნებული შრომა-მეცადინეობა უეჭველ წესიერს ნაყოფს გამოიღებს და ქუთაისის საზოგადოების გულს მოვინადირებთ ჩვენის ხელოვნებისა და კულტურული თვითშეგნების სასახელოთოო..

დასი მხურვალე ტაშისცემით მიეგება თავჯდომარის სიტყვას და გაერთიანებული მუშაობის მოწოდებას. ბ-ნი ჩიქოვანის შემდეგ ილაპარაკა ვლ. მესხი. შვილმა, რომელმაც უსურვა დასს მუშაობა ძმური და სოლიდარული, დამყარებული პატიოსნურს და მეგობრულს საფუძველებზე. დასის რეჟისორმა ვ. შალიკაშვილმა დასი გააფრთხილა, რომ ოსმანობის გამო ყველა ის ცვლილებანი და გრძნობანი, რომელიც უნდა დასის მუშაობამდე დასრულებულიყო ვერ მოხერხდაო, ამიტომ ტეხნიკური ნაკლულოვანება უნდა შეავსოო თქვენი ნიჭიერის, შეგნებულის და ხელოვნურის თამაშობითაო, თანდათან ეცადებით ყოველივე ნაკლი შეავსოთო და თუ ამისთანა პირობებში, როგორც ეხლა თავს დაატყდა ქართულ დასს, ჩვენ შევსძლებთ საზოგადოების გულის მოგებას, ეს დამტკიცებს ქართველ მსახიობთა სრულს მომზადებას და მისს მაღალ მოქალაქეობრივობასო... ყველა ორატორები დასმა ტაშისკრით დააჯილდოვა.

იმავე დღეს დასი შეუდგა რეგულიარულ მუშაობას და პიესების მზადებას.

სპარაფუჩილო ო.

დაბა-სოფელი.

დ. ჩხარი. (ზემო იმერეთი) თუმცა დ. ჩხარის შესახებ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ჩვენ პერიოდულს ჟურნალ გაზეთებში, მაგრამ კიდევ—განსაკუთრებით მისს გზებზედ კი ან სულ არაფერი თქმულა ბევრი და ან თუ ითქვა რამე, ისიც ცოტა ძალიან და გაყვირით. ვინ არ უწყის, რომ დ. ჩხარი ერთს უმშვენიერეს კუთხეს წარმოადგენს წყლითაც და ჰაერით მთელს ზემო იმერეთში, მაგრამ ყოველი ვე ეს დღეს მისთვის უმნიშვნელოა, რადგან მას სრულებით არ გააჩნია არც ერთი რიგიანი პატრონი და გულშემატკივარი!! თუ ვინმე მოხერხებულად სძიძგნის და სძიძგნის ამ ბედშავ დაბას, თორემ ი ი ნ გზებისა და ან სხვა რაიმე ფრიად საჭირგნო კულტურულ საქმისთვის ზრუნვა ვის სცალია?! თუ ვინმემ თავიანთი გაიძვერული მოქმედებით თავისი გაუმაძღარი კუჭი გაიძღო და ყოველივე თავისი დღიური მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილა, სხვას არავის არაფერს არ სჩვენ!!! რაც აკლია ჩხარს, ამის აღნუსხვას მე აღარ შევუდგები, რადგან ბევრჯერ იყო მისი ნაკლულოვანება გამოქიაქებული გაზეთების ფურცლებზედ, მხოლოდ ამ წერილში მრავალპატიცემულ მკით ხველი საზოგადოების ყურადღებას და აგრეთვე სათანადო მთავრობისასაც—მივაქცევ მის (ჩხარის) უსაშინელეს, ყოველდ სძაგელ და გაფუჭებულ გზებისა და ხიდების მდგომარეობას.

დ. ჩხარს ბევრი გზა მისდევს, მაგრამ ყველა გზებში უსაჭიროესია სამი გზა; ერთი, რომელიც მიემართება ქ. ყვირილისაკენ, ბეროვ-სადგურ სვირისაკენ და მესამე—ქალაქ ქუთაისისაკენ, რომელიც გაივლის მდინარე ძირულს. ეს სამი გზა ძალიან უძველესი გზებია და მასთან დიდად საჭირო ჩხარისთვის. რაც უნდა ცუდი ამინდი იყოს, ამ გზებზედ არავითარი მიმოსვლა არ სწყდება თუ ეტლებით, თუ ცხენებით და თუ საავტრო საქონლით დატვირთული ურმებით. ჩვენ სამწუხაროდ ეს სამივე გზა ყოველდ უპატრონოდაა მიგდებული; არავინ მათზე არაფერს ჰფიქრობს. (?!) თუმცა ერთი მათგანი, რომელიც ყვირილისაკენ მიემართება, შეკეთებულია გვარიანად ქვითა და ხრეშით, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ თუ ცუდმა ამინდმა უსწრო და გასტანა რამდენსამე ხანს, მდინარე ჩოლობურსა და ჩხარში არაფერს არ შეუძლია გასვლა უხიდობის გამო: მეტადრე ზამთრობით და თითქმის ხანდისხან ზაფხულობითაც შეწყვეტილია ყოველივე მიმოსვლა დ. ყვირილსა და ჩხარს შუა ხიდების უქონლობის გამო.

ხშირად არის ისეთი შემთხვევა, რომ თვით ფოსტაც ორი-სამი კვირა და ხანდიდე მეტიც ვერაო გადის ჩხარიდან და ასე ამნაირად ვრჩებით მოწყვეტილნი სერიოზ მაჯის ცემას. კი ხანია, რაც ხმები დადის, ვითომც რამოდენიმე ათასი მანეთია გადადებული ხიდების გასაკეთებლადო, მაგრამ ეს ხმები ჯერ კიდევ ვერაა სისრულეში მოყვანილი რაღაც მიზეზებისა გამო.

ყველაზე უფრო უსაშინელეს მდგომარეობას განიცდის დანარჩენი ორი გზა. ამ ორ გზაზედ წამლიდან რომ ვინმეს უნდოდეს ერთს ნატეხ ქვასაც ვერავინ იპოვნის; საშინლად გაფუჭებულია ყოველის მხრივ. საკმარისია სულ ცოტაოდენი წამოწვიმოს, რომ შესწყდეს ყოველივე მიმოსვლა ამ გზებზედ; გადებენ ისეთი შემაძარწყინებელი ტალახი-საფლავები, რომ ვერავთარ ბედაურს ვერ შეუძლია ბიგ გასვლა, რის გამო მგზავრები გზის გაწყვრიც სულ გაფუჭებულია ყანები და ვენახები. ხშირად, ცუდი ამინდის დროს, ადამიანის მსვეფლიც მოსდევს-ხოლმე; ზოგი ტალახში ეფლება, ზოგი ურემს ეტნევა ქვეშ და საცოდავად უპატრონოდ დაფავს სულს. მაგალითებრ ერთობ ბევრია მაგრამ მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც სავსებით ახასიათებს ამ გზების აუწერელს მდგომარეობას:

ამ ორიოდე წლის წინად ერთს აქაურს მცხოვრებს—ყაზნაშვილს ქუთაისიდან აქაური ვაჭრების საქონელი მოჰქონდა ურმით: მიუახლოვდა თუ არა ერთი ვერსის მანძილზე დ. ჩხარს, გადაუბრუნდა ურემი თურმე და მოყვა ქვეშ. მეორე დღეს საწყალი მკვდარი გამოათრიეს ურემიდან. ამ ამბის მდგომარეობაშია ეს ორი გზა და ყურადღებას მაინც არავინ აქცევს. სამწუხაროდ კიდევ ისიც ზედ ერთვის, რომ მდინარე ძირულზე დაწყებული მისი სათავიდან ყვირილის შერთულამდის ამ ჟამად არსად ხიდი არაა. ამ მდინარეს საოცარი მოდიდება იცის, თავის კალაპოტში აღარ ეტევა, გადალეკავს ნაპირებს, რაც რომ მოყვება, ყველაფერს იტაცებს და ასე გაგიჟებული მიექანება ქვეითი და ერთვის მდინარე ყვირილას ჩოლაბურაში. მგზავრები ფონს ვეღარ ავნებენ, ცვივიან შიგ და იღუპებიან. ამ ორიოდე კვირის წინად ორი მგზავრი—გიგაშვილები ასცდნენ ფონსა ჩავარდნენ შიგ და იღუპებოდნენ, რომ ბედად იმავე დროს არ გაჩენოდათ ადგილობრივი მცხოვრები ს. ფანჩულიძე, რომელმაც დიდი ვაი-ვაგლახით გადაარჩინა იგინი დ ღუპას!! ნეტავ რაა მიზეზი ყურადღე ბას რომ არავინ აქცევს ამ გზებს?! ან ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება? ჩვენი ადგილობრივი მამასახლისები უმეტრო იმ გზებს აკეთებენ, რომლებიც თვითონ ეხმრობათ; სულ ქვა-ფენილებითაა მოფენილი მათი კერძო გზები და სხვა დიდ გზების დარდი სრულებით არა აქვთ. დიდი მაღლობის ღირსი იქნებიან ბ. ბ. შორაპნის გზის უმეტრობა და აგრეთვე ჩვენი ადგილობრივი ბოქაულიც, ჯერ-როვან ყურადღებას მიაქცევდენ ამ გზებს და უბრძანებდენ ვისაც ჯერ არს მათ როგიანად შეკეთებას.

ი. ძერულისპირელი.

ხონის პროგიმნაზიის სასარგებლოთ შემოწირულობათა სია და დამატება.

(იხილე „იმერეთი“-ს 141).

ი. ხაჭაპურაძემ შემოსწირა 20 მ., ნ. მალაქიანმა 5 მ., გ. გოკიელიანმა 10 მ., მ. გრიგოლიანმა 10 მ., მ. ნ. კერკაძემ 15 მ., მ. ზ. გაფლისტოვმა 20 მ., ე. მელაძემ 3 მ., გრ. ბახტაძე 5 მ., დ. ხაჭაპურიძემ 3 მ., ი. კვინტარაძე 5 მ., გ. ბერიძემ 3 მ., პ. კაკაბაძემ 5 მ., ს. ფრანგიშვილმა 10 მ., ა. ანჯაფარიძემ 3 მ., მღვდ. იოანე ბოკერაძემ 10 მ., მღვდ. კონსტ. თოფურიძემ 3 მ., ე. მაჩიტაძემ 10 მ., ვ. მოსულიშვილმა 5 მ., პ. პ. სიმონიამ 10 მ., ა. ვაგნერიძემ 15 მ., ი. ნ. ვერულაშვილმა 5 მ., მ. ი. წულაძემ 4 მ., მ. ფ. ცომაიამ 2 მ. წინანდელიანთ 306 კაცია შემომწირეთი. სულ შემოვიდა 2439 მ.

დირექტ. ხონის პროგიმნაზ. **ვაუნაკოვი.**

რედ.-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

ჯრა-პერვის და საუცხოვო ხელსაქმის

ოკოლა მიქელაძისა

გადავიდა

თფილისის ქუჩაზე მოსიძის სახლში კანდელაკის ყოფ.

მიიღება დაკვეთა

ქალის ტანისამოსებისა, საცვლებისა, და საუცხოვო ნაწარმოებისა ფასები ზომიერია.

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი

გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.

ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ზე კლასი. აქვე არის გახსნილი სამზადისო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლად დილის 9 საათ. 2 საათამდე.

მუშაობს

ბრესილის მადნეული წყლის ძმ. ჭორჭოლაძეების

სამკურნალო აბანო

აბანო მუშაობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სავდასხვაგვარ ავათმყოფობას: **ქარვას (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, სავმეწყლოებს, ნერვიულ სისუსტეს, ჩაყოლილ ცივებს (მძღრავს) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეკზემას, სამშაშვილ** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერანა ჯოდში“ ხრესილში** სადგურზე მატარებელის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენა აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „**სტანცია სერანა ჯოდის**“.

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ჩემ მიერ იხსნება შესაძე ხარისხის

სპეციალური სასწავლებელი

ყველა სამვალო სასწავლებლებისათვის ორივე სქესის ყმაწვილთათვის მოსამზადებლათ. (გიმნაზიისთვის, რეალურ სასწავლებლისთვის და სხვა). სასწავლებელში იქნება გაკვეთილები ფრანგულისა და ნემეცკარი ენების.

უცხო ენების სასწავლებელთა მოწვეული მყავს მასწავლებელი-სპეციალისტი. ბავშვები მიიღება 23 აგვისტოდან ივანოვის ქუჩაზე ჭიპჭიპაძის სახლში № 38.

სწავლის ფული ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ნინო გრიგოლის ასული ლაფერაშვილისა.

ახალი უვნებელი საშუალება რძე ჭიანჭველასაგან „ბ ე ტ ტ ი“

ფარმ. ხ. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით

ფერმკრთალებს, გადაჟაჟს ნაშრეური და ასწორებს ჭიანჭველის ნაოჭებს. ეურჩევა აგრეთვე მამაკაცებს, ვინც ჭიანჭველის მაგნიანში ბარსაც იხარსავს და ქერქლებათ სხვე-

მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თბილისში ლისის აფთიაქი ს. ხ. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკორეკი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს საღვათი. 15—6

მწერალ-მბეჭდავი სტამბა პ. ძოძრეიძისა—ქუთაისში